განკარგულება:**g-63. 6323156001**
თარიღი:**05/06/2023**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად , განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**

**1.** დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების შესახებ.

**/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/**

4. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნისთვის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.073) ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

**/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/**

5. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ.

**/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/**

6. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 27 პროექტის მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშში მდებარე 100.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 რევაზ სალაყაიას სახელობის შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 82.01 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/**

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/**

10. **სხვადასხვა.**

**2.** განკარგულება ძალში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი